

შპს გრინვილი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(არააუდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	12
3. ძირითადი საშუალებები	13
4. არამატერიალური აქტივები	13
5. გაცემული სესხები	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. გადახდილი ავანსები	14
9. ფულის და ფულის ექვივალენტები	14
10. გრძელვადიანი სესხები	14
11. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	15
12. მოკლევადიანი სესხები	15
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
14. ამონაგები	15
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
16. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	16
17. დაკავშირებული მხარეები	17
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
19. ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	12/31/2022	12/31/2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,802,367	4,967,698
არამატერიალური აქტივები	4	3,803	3,803
გაცემული სესხები	5	0	0
		4,806,170	4,971,501
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	285,102	388,531
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	394,188	504,604
გადახდილი ავანსები	8	165,786	13,545
ფული და ფულის ექვივალენტები	9	165	77
		845,242	906,757
მთლიანი აქტივები		5,651,412	5,878,259
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		9,372	9,372
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(177,172)	(1,893,097)
		(167,800)	(1,883,725)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,286,039	2,747,443
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე		0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	11	0	1,111
		2,286,039	2,748,554
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	1,305,899	1,274,406
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე(მიმდინარე)		0	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,227,274	3,739,025
		3,533,173	5,013,431
მთლიანი ვალდებულებები		5,819,212	7,761,984
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		5,651,412	5,878,259

ხელმოწერილი პირები:

გიორგი გოგიჩაშვილი- დირექტორი

30 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	14	7,225,821	2,638,433
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(4,874,596)	(2,209,274)
საერთო მოგება		2,351,225	429,160
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,039,496)	(711,948)
სხვა შემოსავალი		-	-
საპროცენტო შემოსავალი		263	138
საპროცენტო ხარჯი		(261,803)	(286,038)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		653,434	357,585
არასაოპერაციო შემოსავლები /ხარჯები	16	12,303	14,411
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე		1,715,925	(196,692)
მოგების გადასახადს ხარჯი			
წლიური მოგება/(ზარალი)		1,715,925	(196,692)
წლიური სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული მოგება(ზარალი)		1,715,925	(196,692)

ხელმოწერი პირები:

გიორგი გოგიჩაშვილი- დირექტორი

30 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31 დეკემბერი 2022			
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	9,372	(1,696,405)	(1,687,033)
მოგება წლის განმავლობაში		(196,692)	(196,692)
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	-
ცვლილება		-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	9,372	(1,893,097)	(1,883,725)
მოგება წლის განმავლობაში		1,715,925	1,715,925
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	-
ცვლილება		-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	9,372	(177,172)	(167,800)

ხელმოწერილი პირები:

გორგი გოგიჩაშვილი- დირექტორი

30 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შესავალი კომპანია და მისი საქმიანობა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრინვილი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2016 წლის 15 ნოემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფ/პ მინდია საბანაძე პნ 01023002458 წარმოადგენს კომპანიის 90%-იან და ლაშა კახიშვილი პნ 01024067556 10%-იან წილის მფლობელს. კომპანიის დირექტორია გიორგი გოგიჩაშვილი, პ/ნ 01008048369.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მარგარინის და მსგავსი საკვები ცხიმების წარმოება. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ., N13გ

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-ბ“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

2.2 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოადაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის

გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

2.3 პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

2.4 მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2.5 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.6 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი

ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

2.7 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგიურულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.9 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და

ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2.10 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2. 7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2. 8844	3.5040

2.11 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;
 - ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;
 - გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.
- ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
მოწყობილობა-დანადგარები	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.13 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შემდგომ, ის ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუმცა, თუ ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, ის ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარდგება განცალკევებით.

2.14 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

2.15 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი,

პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.16 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

2.17 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

2.18 დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2.19 ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.20 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

2.21 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

2.22 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხვგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3.2 საექვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

3.3 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული საგადასახადო ტრანზაქციების ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად საგადასახადო ორგანოს შეუძლიათ კიტხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები, რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2021	938,418	1,829,593	142,323	2,515,858	70,352	5,496,543
შემოსვლა	-	-	6,250	14,798	14,337	35,385
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	938,418	1,829,593	148,573	2,530,656	84,688	5,531,928
ცვთა და გაუფასურება						-
31 დეკემბერი 2021	938,418	(115,311)	(16,366)	(369,872)	(27,297)	(528,845)
პერიოდის ცვთა	-	(37,430)	(7,555)	(137,025)	(18,707)	(200,716)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	938,418	(152,741)	(23,920)	(506,896)	(46,003)	(729,561)
წმინდა საბალანსო ღირებულება						-
31 დეკემბერი 2021	938,418	1,714,281	125,957	2,145,986	43,055	4,967,698
31 დეკემბერი 2022	938,418	1,676,852	124,653	2,023,760	38,685	4,802,367

4. არამატერიალური აქტივები

	ISO 9001 ხარისხის სერტიფიკატი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	20,112	1,010	21,122
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	20,112	1,010	21,122
ცვთა და გაუფასურება			-
31 დეკემბერი 2021	(17,319)	-	(17,319)
პერიოდის ცვთა	-	-	-
გაუფასურება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(17,319)	-	(17,319)
წმინდა საბალანსო ღირებულება			-
31 დეკემბერი 2021	2,793	1,010	3,803
31 დეკემბერი 2022	2,793	1,010	3,803

5. გაცემული სესხები

	2022	2021
გაცემული სესხები	-	-
სულ	-	-

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2022	2021
ნედლეული და მასალები	190,372	359,777
მზა პროდუქცია	94,730	28,754
სარემონტო მასალები	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	285,102	388,531

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	223,977	139,882
წინასწარ გაწეული ხარჯები	164,136	358,647
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6,075	6,075
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	394,188	504,604

8. გადახდილი ავანსები

	2022	2021
ადგილობრივ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,184	7,184
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	158,602	6,361
სულ ავანსები	165,786	13,545

9. ფულის და ფულის ექვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	165	75
უცხოური ვალუტა ბანკში	-	3
სულ ფულის და ფულის ექვივალენტები	165	77

10. გრძელვადიანი სესხები

	2022	2021
გრძელვადიანი სესხები		
ბანკისგან მიღებული სესხები	(2,286,039)	(2,747,443)
ფიზიკური პირის სესხები	-	-
ორგანიზაციის სესხები	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	(2,286,039)	(2,747,443)

11. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	2022	2021
აწარმოე საქართველოს თანადაფინანსება	-	(1,111)
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(1,111)

12. მოკლევადიანი სესხები

	2022	2021
ფიზიკური პირის სესხები	-	-
ორგანიზაციის სესხები	(564,780)	(580,604)
გადასახდელი პროცენტები	(181,312)	(123,894)
ბანკის სესხები	(559,807)	(569,908)
სულ მოკლევადიანი სესხები	(1,305,899)	(1,274,406)

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	(1,214,654)	(1,441,566)
მიღებული ავანსები	(933,206)	(2,261,132)
საგადასახადო ვალდებულებები	(14,943)	(9,486)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	(63,434)	(26,842)
გადასახდელი ხელფასები	(1,037)	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,227,274)	(3,739,025)

14. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	7,137,608	2,597,295
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	88,213	41,139
სულ	7,225,821	2,638,433

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	(142,847)	(60,968)
სარეკლამო მომსახურების ხარჯები	(8,534)	(4,576)
ტრანსპორტირების ხარჯები	(20,970)	(2,881)
შრომის ანაზღაურება	(318,860)	(129,771)
ჰიგიენური ხარჯები	(41,676)	(14,968)
ოფისის ხარჯები	(19,820)	(22,654)
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	(19,445)	(38,207)
კომუნიკაციის ხარჯები	(13,903)	(13,115)
კომუნალური ხარჯები	(162,121)	(125,892)
აუდიტის და საბუღალტრო მომსახურების ხარჯები	(33,900)	(33,000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(200,716)	(204,987)
საგადასახადო ხარჯი	(43,676)	(46,060)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(3,297)	(6,324)
დაზღვევის ხარჯები	(7,626)	(5,716)
დაცვის და სიგნალიზაციის ხარჯები	(2,105)	(2,829)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,039,496)	(711,948)

16. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	2022	2021
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	(27,934)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21,878	51,940
მოგების ხარჯი	(9,575)	(9,596)
სულ	12,303	14,411

17. დაკავშირებული მხარეები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	46,748	-
სულ	46,748	-

დაკავშირებული მხარეები

მიღებული სესხები

	2022	2021
მიღებული სესხები	746,092	704,498
სულ	746,092	704,498

დაკავშირებული მხარეები

ავანსები და სავაჭრო ვალდებულება

	2022	2021
მიღებული ავანსი	933,206	2,232,804
სავაჭრო ვალდებულება	122,576	194,830
სულ	1,055,782	2,427,634

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წელს კომპანია გეგმავს საწარმოო ხაზის გამართვას წარმადობის გაზრდის მიზნით და ასევე ახალი დანადგარის შეძენას, 500 გრამიანი სპრეების შესაფუთად. აღნიშნულზე არის დიდი მოთხოვნა ბაზარზე, შესაბამისად ეს ინვესტიცია საგრძნობლად გაზრდის კომპანიის ეფექტურობასა და შედეგებს. ამისათვის კომპანია იღებს 160,000 ევროს ოდენობის სესხს, საიდანაც ნაწილი მიმდინარე მონაცემებით უკვე ათვისებულია და პროექტიც მიმდინარეობს.

19. ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,802,367	4,971,812
არამატერიალური აქტივები	4	3,803	3,803
გაცემული სესხები	5	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,806,170	5,120,973
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	285,102	388,531
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	394,187	500,282
გადახდილი ავანსები	8	165,786	13,495
ფული და ფულის ექვივალენტები	9	165	77
სულ მიმდინარე აქტივები		845,240	902,385
სულ აქტივები		5,651,410	5,878,000
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		9,372	9,372
გაუნაწილებელი მოგება		(177,171)	(1,893,097)
სულ კაპიტალი		(167,800)	(1,883,725)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,286,039	2,749,376
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებ	11	-	1,111
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,286,039	2,750,487
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	12	1,305,899	1,276,481
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,227,272	3,734,757
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,533,171	5,011,238
სულ ვალდებულებები		5,819,210	7,761,725
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,651,410	5,878,000

ხელმოწერილი პირები:

გორგოზი გოგინაშვილი - დირექტორი


30 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი	14	7,225,821	2,638,526
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(4,874,596)	(2,167,600)
საერთო მოგება/(ზარალი)		2,351,225	470,926
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,039,496)	(781,489)
სხვა შემოსავალი		263	138
საპროცენტო შემოსავალი		(261,803)	(286,039)
საპროცენტო ხარჯი		653,434	384,075
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		12,303	15,697
არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	16		
მოგება(ზარალი) მოგების გადასახადამდე		1,715,925	(196,692)
მოგების გადასახადის ხარჯი			
წლიური მოგება/(ზარალი)		1,715,925	(196,692)
წლიური სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული მოგება(ზარალი)		1,715,925	(196,692)

ხელმოწერილი პირები:


გიორგი გოგიშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო


შპს „გრინვილი“
(თანხები მოცემულია ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31 დეკემბერი 2022

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	9,372	(1,696,405)	(1,687,033)
მოგება წლის განმავლობაში		(196,692)	(196,692)
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	-
ცვლილება		-	-
ბალანსი 31-დეკემბერი 2021	9,372	(1,893,097)	(1,883,725)
მოგება წლის განმავლობაში		1,715,925	1,715,925
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	-
ცვლილება		-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	9,372	(177,172)	(167,800)

ხელმოწერი პირები:


გიორგი გოგიბაშვილი-დირექტორი

30 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო